ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №370974

ნომერი: AR182399

თარიღი : 24.09.2012

გაცემის თარიღი : 27.09.2012

გაცნობის თარიღი : 28.09.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხოშარაულის და ელიავას ქუჩებს ,მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის(ნაკვ. 10/22);

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ანდრიაძე პ/ნ 01024010008
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 29/31/33 ბ. 34

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

კორექტირება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ვინაიდან მრავალფუნქციური შენობა ამ ეტაპისათვის არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, თქვენს მიერ მოთხოვნილი სამუშაოები ვერ განიხილება I კლასის კუთხით, შესაბამისად ცვლილება უნდა შევიდეს #164285 14.05.12წ. ბრძანებით შეთანხმებულ ძირითად მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურულ პროექტში, რისთვისაც საკითხი უნდა დააყენოთ მშენებლობის ნებართვის გაცემის კუთხით (ქმედებით: "შეთანხმებული პროექტიც ცვლილება) და შესაბამის ველებში უნდა ატვირთოთ შესაბამისი კორექტირებული დოკუმენტაცია.

აღნიშნული სამუშაოების განხილვა ფასადის რეკონსტრუქციის ანუ I კლასის კუთხით შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ობიექტი მიღებულ იქნება ექსპლუატაციაში, რომლის შემდგომაც განახლდება როგორც ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ასევე საკადასტრო გეგმა (მასზე მომიჯნავე ნაკვეთთან გადაფარვის აღმოფხვრით). ასეთ შემთხვევაში უნდა მონიშნოთ: "I კლასი" - "საჩრდილობლის მოწყობა" - ქმედებები "რეკონსტრუქცია" და წარმოსადგენი იქნება ფოტომონტაჟი, საჩრდილობლის გაბარიტული ზომებისა და მასალის დატანით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.